


საქართველოს
2020 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტი

\$ \$ \$ \$ \$

ცნობარი მოქალაქეებისათვის




ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაცია



სახელმწიფო ბიუჯეტი

- 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მოცულობა, 2019 წელთან შედარებით 1,1 მილიარდი ლარით გაიზარდა და 14,4 მილიარდი ლარის ოდენობით განისაზღვრა.
- 2020 წლის ბიუჯეტში 46,9 მლნ ლარი წარმოადგენს გრანტებს, 1,182 მლნ ლარი კრედიტებს, ხოლო დარჩენილი ნაწილი საბიუჯეტო სახსრებს (შემოსავლები გადასახადებიდან, საკუთრებიდან, პრივატიზირებიდან და სხვა)
- ბიუჯეტის ზრდა ძირითადად გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლების და საგარეო და საშინაო ვალის ზრდაზე მოდის.

ბიუჯეტის ძირითადი ხარჯების სტრუქტურა




ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მლნ. ლარი

ღონისძიების დასახელება	2019	2020
მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,783.8	3,126.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,044.6	1,078.6
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	58.9	61.4
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	20.0	25.0
სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8.4	8.7
შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4.3	6.0
სსიპ - საპენსიო სააგენტო	3.8	5
ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	0.3	0.3
შსს და სუს-ის მომსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4.2	4.2
სულ	3,928.3	4,315.2

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების % ბიუჯეტის მთლიანდ გადასახდელებთან




განათლება და მეცნიერება

მლნ. ლარი

ლონისძიების დასახელება	2019	2020
სკოლამდელი და ზოგადი განათლება	845.5	927.9
უმალლესი განათლება	482.1	491.7
ინფრასტრუქტურის განვითარება	135.5	136.8
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	67.3	69.7
პროფესიული განათლება	68.0	74.6
ინკლუზიური განათლება	17.7	20.5
მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.9	1.9
საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.4	1.5
საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	7.4	7.6
„საქპატენტი“	9.7	11.4
სხვა პროგრამები	118.2	93.5
სულ	1,754.7	1,837.1

განათლებისა და მეცნიერების ხარჯების %
ბიუჯეტის მთლიანდ გადასახდელებთან



2018 ფაქტი

2019 გეგმა


2020 პროექტი

რეგიონალური განვითარება და ინფრასტრუქტურა

მლნ. ლარი

ლონისძიების დასახელება	2019	2020
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1,302.1	1,315.3
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	331.5	290.2
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	226.2	256.8
ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	14.9	41.5
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	72.5	149.0
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	51.9	31.7
მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	19.4	24.2
მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	43.8	62.8
სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა, განვითარება	15.0	11.5
სხვა პროგრამები	57.6	82.8
სულ	2,134.9	2,265.8

რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის ხარჯების % ბიუჯეტის მთლიანდ გადასახდელებთან



2018 ფაქტი

2019 გეგმა


2020 პროექტი

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მლნ. ლარი

ლონისძიების დასახელება	2019	2020
საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	528.0	584.8
თავდაცვის მართვა	314.3	327.3
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	146.7	157.2
ლოგისტიკური უზრუნველყოფა	150.0	171.0
სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	119.9	119.3
საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	12.2	11.6
სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	60.2	73.6
სხვა პროგრამები	929.7	871.1
სულ	2,261.0	2,315.9

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ხარჯების % ბიუჯეტის მთლიანდ გადასახდელებთან




2018 ფაქტი

2019 გეგმა

2020 პროექტი

დაფინანსება სამინისტროების მიხედვით



გაზრდილი სოციალური ხარჯები

სოციალური სისტემა

- 2020 წლის 1 იანვრიდან, 20 ლარით გაიზრდება ასაკით პენსიონერთა პენსიები, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირების სოციალური დახმარება, რაზეც ბიუჯეტიდან მიიმართება დამატებით 220.0 მლნ ლარზე მეტი;
- 2020 წლის 1 ივლისიდან, დამატებით 30 ლარით გაიზრდება 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პირთა პენსია, მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ სოციალური დახმარება, რაზეც დამატებით მიიმართება 80 მლნ ლარი.
- 2020 წლის 1 ივლისიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სოფლის ექიმების ანაზღაურება გაიზრდება 100 ლარით;



გაზრდილი სოციალური ხარჯები

განათლების სისტემა

- 2020 წლის სექტემბრიდან, საჯარო სკოლების უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატი გაიზრდება 150 ლარით. აღნიშნულ მასწავლებელთა ხელფასების ზრდაზე 2020 წელს ჯამში მიიძარება 140.0 მლნ ლარზე მეტი;
- 2020 წლის 1 სექტემბრიდან 100 ლარით გაიზრდება საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ანაზღაურება (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა), რაზეც მიიძარება 15.0 მლნ ლარამდე;



გაზრდილი სოციალური ხარჯები

პოლიცია და ჯარი

- 2020 წელს ხელფასები გაეზრდებათ ჯარისკაცებს, მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რაზეც დამატებით მიიძარტება 50 მლნ ლარამდე;



- მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ხელფასები გაეზრდებათ 2020 წლის 1 ივლისიდან საშუალოდ 125 ლარით;

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა

2020 წელს, ბიუჯეტიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე მიიმართება 240 მილიონ ლარზე მეტი. დაფინანსება შემდეგნაირად გადანაწილდა:


- შეღავათიანი აგროკრედიტები - 74.0 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სხვა პროგრამები - 57.0 მლნ ლარი;
- ტურიზმის ხელშეწყობა 33.0 მლნ ლარი;
- სტარტაფების და ინოვაციების დაფინანსება - 22.0 მლნ ლარი;
- საკრედიტო-საგარანტიო ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- მცირე გრანტების პროგრამა - 15.0 მლნ ლარი;
- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობის სხვა პროგრამები - 20.0 მლნ ლარი;

ეკონომიკური ზრდა



- მთავრობამ, თავდაპირველად, 2020 წლისათვის ეკონომიკური ზრდა 5%-ზე დაგეგმა. პარლამენტისათვის წარდგენილ, ბიუჯეტის კანონის ბოლო ვერსიაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 4,5%-მდე შეამცირა.
- მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მოცულობა 53,1 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 4 მილიარდით აღემატება 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.
- მთავრობის პროგნოზის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკა მომდევნო წლებში ეტაპობრივად გაიზრდება და 2023 წლისათვის 5,5%-ს მიაღწევს.

ეკონომიკური ზრდა (%) წლების მიხედვით



ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის მთავარ წყაროს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. 2020 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი გადასახადების მოცულობა 10,465 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც მიმდინარე წლის მაჩვენებელს 820 მლნ ლარით აღემატება.

საგადასახადო შემოსავალი	2019 წლის გეგმა	2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი
საშემოსავლო გადასახადი	3,150 მლნ	3,415 მლნ
მოგების გადასახადი	855 მლნ	970 მლნ
დღგ	4,071 მლნ	4,398 მლნ
აქციზის გადასახადი	1,287 მლნ	1,400 მლნ
იმპორტის გადასახადი	75 მლნ	80 მლნ
სხვა გადასახადები	207 მლნ	202 მლნ

სახელმწიფო ვალი

საგადასახადო შემოსავლებთან ერთად, ბიუჯეტის შევსების ასევე მნიშვნელოვანი წყაროა საშინაო და საგარეო ვალი.

- სახელმწიფო ვალის მოცულობა 2020 წლის ბოლოსათვის, განისაზღვრება 23 434.9 მლნ ლარის ოდენობით; აქედან საგარეო ვალი შეადგენს 17 968.1 მლნ ლარს საშინაო ვალი – 5 466.9 მლნ ლარს. 2019 წელთა შედარებით ვალი დაახლოებით 3,6 მილიარდი ლარით იზრდება
- აღსანიშნავია, რომ წინა წლებში აღებული საგარეო ვალის პროცენტზე და ძირითადი თანხის დაფარვაზე 2020 წელს დაიხარჯება 1,4 მლრდ ხოლო საშინაოზე 416 მლნ ლარი. ჯამში სესხის მომსახურებაზე ბიუჯეტიდან 2 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება.

სახელმწიფო ვალის ზრდის ტენდენცია

ქვეყანაში გრძელდება ვალის ზრდის არასასურველი პრაქტიკა

მლრდ ლარი

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საშინაო ვალი	1,9	2,0	2,6	2,83	3,2	3,6	3,9	4,4	5,5
საგარეო ვალი	7,2	7,3	7,8	10,4	11,9	13,4	14,0	15,4	17,9
სახელმწიფო ვალი	9,1 მლრდ	9,3 მლრდ	10,4 მლრდ	13,2 მლრდ	15,1 მლრდ	17 მლრდ	17,9 მლრდ	19,8 მლრდ	23,4 მლრდ

შეფასებები

- 2020 წელს, საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება იმაზე უფრო ნაკლებად, ვიდრე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, რაც რეალურად კიდევ უფრო დაამძიმებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას. აღნიშნული პროცესის შედეგი განსაკუთრებით მძიმე იქნება მაღალი ინფლაციის და გაუფასურებული ლარის ფონზე.
- განათლება კვლავ ნაკლებად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის. 2019 წელთან შედარებით, მცირდება განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი (%) ბიუჯეტის მთლიან ხარჯებთან მიმართებით. აღნიშნული კიდევ უფრო გააღრმავებს საგანმანათლებლო სფეროში არსებულ გამოწვევებს. უკანასკნელმა საერთაშორისო კვლევამ (PISA) აჩვენა, რომ საქართველო საგანმანათლებლო რეიტინგში, საგანგაშოდ დაბალ, ბოლოდან მერვე ადგილს იკავებს.

- დაუსაბუთებელი და უსამართლო პრაქტიკას წარმოადგენს, პენსიის დიფერენცირება პენსიონერთა ასაკის მიხედვით. მაღალი ინფლაციისა და გაძვირებული ფასების მიმართ მოწყვლადია ყველა ასაკის პენსიონერი. აქვე აღსანიშნავია, რომ პენსიის მატების ფონზეც კი, იგი ყოველწლიურად კარგავს მსყიდველუნარიანობას. მაგალითად, თუ 2012 წელს არსებული პენსია \$90 უდრიდა, 2020 წელს მომატებული 20 ლარის პირობებში საშუალოდ \$73 იქნება.
- 2020 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ხარჯების ძირითადი ზრდა, სხვადასხვა საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასა და პენსიების ზრდაზე მოდის. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ადგილი არ ჰქონია პენსიებისა და ხელფასების მსგავს მასშტაბურ მატებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზრდის მთავარ წყაროს 2019 წლის ბოლოს აღებული 400 მილიონით მეტი შიდა ვალი და მომავალ წელს ასაღები გაზრდილი სახელმწიფო ვალი წარმოადგენს.

- თუ მთავრობა ვერ მოახერხებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და გამოყოფილი თანხების ათვისებას, აღნიშნული უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც მიმდინარე, ასევე პოტენციურ ეკონომიკურ ზრდაზე.
- ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ბოლო წლებში ტენდენციად იქცა. მაგალითად, მიმდინარე, 2019 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ვერ განახორციელა/დაასრულა რამდენიმე ასეულ მილიონიანი პროექტი.
- განუხორციელებლ პროექტებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება თავის მხრივ ზრდის სესხის მომსახურების ხარჯებს, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის დაკისრებას სესხის აუთვისებელ ნაწილზე და ეს ცალკე ტვირთად აწვება ბიუჯეტს. მაგალითად, 2018 წელს 70%-ზე დაბალი ათვისების 14 საინვესტიციო კრედიტის ფარგლებში მოგვიწია 3,1 მლნ ლარის ვალდებულების გადასახადის (Commitment Fee) გადახდა.